მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №7
2021 წლის 01 მარტი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ბიგვავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის შესაბამისად

1. ცნობად იქნეს მიღებული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ბიგვავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი 2021 წლის 27 თებერვლიდან (პირადი განცხადება 26.02.2021წ. N35).
2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის №65 საოლქო საარჩევნო კომისიას და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია